# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 660

დამატების № 118

კვირა, 28 აგვისტო 1916 წ.



მიწის მუშა.

## უკანასკნელი ამონაკვნესი

დე, მეგობრები ეჭვით მიცქერდეს
დე, დამიბნელდეს მზისა ნათელი
ცრუ მაწანწალა ენას ილესდეს
რომ შეურაცხყოს ჩემი სახელი.

ეს ვერ გამიტეხს სულს, ამაყს, ძლიერს,
ვერ გამიფქალებს გრძნობის შვენებას
და ვერ წამართმევს სიცოცხლის ციერს
რაც მოუცია წილად ბუნებას.

მე როს მაქვს მხოლოდ სულის განწყობა
და მსურს ვაჟღერო ობოლი ჩანგი
მსურს გულის სიმზე ავკინძო გრძნობა
ყველას ვასმინო ციური ჰანგი.

მაგრამ თუ ვისმე ჩემი სიმღერა
გულის სიღრმეში ჩაწვდება ზარად
მას ვერ აამებს მგოსნის სიმთ ჟღერა
მისგან შორს ვივლი მარად და მარად.

5 ივნისი.

დარია ახვლედიანისა.

# შესანიშნავი შენობები



პავლე მოციქულის ტაძარი ლონდონში.



რუმინიის დედოფალი.



რუმინიის მემკვიდრე.

*
* *

შენ—მშვენიერი და უმანკო ერთ დროს ასული,—
სული რომ გხდება დღეს ტანჯვაში და სიმწარეში,
დედოფალივით მოკაზმული და ფერ წასული
ღრმად ასვენიხარ ჩემი გულის უტყვ სამარეში.

სულ გამოცვლილხარ; მაგრამ მეც ხომ ვიცვალე ფერი.
ძნელი ყოფილა ულმობელი ცხოვრების ქარი.
ახ, რაოდენი წააყარა მან ჩემს სულს მტვერი,
როგორ ნელ-ნელა ჩამიფერფლა ცეცხლის სიზმარი!

მაგრამ ხან და ხან შენი სახის მკვდარი შვენება
გაცოცხლებული მე სიზმარში მომეჩვენება.
მკვდრეთით აღსდგება მაშინ სევდა ღრმა წარსულისა;

მესმის შენი ხმა, მათრობს შენი ხვევნა-ალერსი,
და შენს წინაშე მსხვერპლად მომაქვს ცრემლში ნალესი
მე დაფარული სისპეტაკე ჩემი სულისა.

კ. ჭიჭინაძე.

# გაქვავებული მღვდელი

(პოლონური ლეგენდა *)

.... დიდი ხანია მას აქეთ, დიდი ხანი, მრავალი საუკუნე, მხოლოდ ძველ წიგნებშია ეს მოხსენებული... კრაკოვის ახლოს ერთ სოფელში სცხოვრობდა ერთი შეძლებული გლეხი სახელად ყაზიმირი, მეტსახელად კი მიმინო. კარგი შთამომავლობის იყო, კაი ქონების პატრონი. სახნავი ბლომად ჰქონდა, ჰქონდა ტყე, სახლ-კარი და წისქვილი. ღმერთს თავისი დოვლათის კალთა ზედ დაეპერტყა. საქმე-საქმეზე მოსდიოდა; ბეღელი მუდამ სავსე ჰქონდა პურით და ქისა ფულით; ცოლი კარგი ჰყავდა და შვილები ჯან-საღი. თვითონაც კეთილი იყო, გონიერი, გამჭრიახი, სათნო სულის პატრონი და ყველაფერში სამართლიანი.

უფლობდა ყველას, ვით მამა მშობელი; ღატაკნი ებრალებოდა, წესზე და სამართალზე იქცეოდა, დიდ ხარკს არ ახდევინებდა, თვალყურს ადევნებდა, მრუდე არაფერი მომხდარიყო და მუდამ მზად იყო მოყვასის ხელის გასაწვდენად და დასახმარებლად.

სცხოვრობდა თავისათვის მშვიდად, თბილად, ბედნიერად და კმაყოფილებით, თითქოს ქრისტეს უბეში უზისო.

ერთხელ მეფემ უცებ მოიხმო მთელი თავისი ერი წარმართებთან საომრად. დასევდიანდა ყაზიმირი, ენანებოდა მიეტოვებინა სახლ-კარი და იმ სასტიკ ომში გაეწია. მაგრამ რას იზამდა, კარებში მეფის კაცი უცდიდა და აჩქარებდა.

დიდი ომი უნდა მომხდარიყო. თურქები შემოესივნენ პოლონეთს, სწვავდნენ სოფლებს, სძარცვავდნენ ეკლესიებს, ქსენძებს **) ყელსა სჭრიდნენ, ხალხსა ჰმუსრავდნენ ან და თოკებით ჰბაწრავდნენ და თავიანთ ქვეყნისკენ ერეკებოდნენ.

საჭირო იყო იარაღის ხელში აღება და მიწა-წყლის დაცვა, რამეთუ საუკუნო ცხოვრება ელის მას, ვინცა თამამად დასდებს თავსა თვისსა თავისი ერისა და სარწმუნოებისათვის.

ყაზიმირმა კრება შეჰყარა, ამოარჩია მარჯვე ბიჭები, შეამზადა ურმები, ცხენები, მოისმინეს ლოცვა და დილით გზას გაუდგნენ.



პრაპ. ალექსანდრე ივანეს ძე კვანტალიანი
(დაჭრილია).

მთელმა სოფელმა ტირილითა და ვაებით გააცილა ისინი ჯვარედინ გზამდე, სადაც ჩენსტოხოვის ღვთის მშობლის ხატი ესვენა.

ჩაება ბრძოლაში ყაზიმირი. გავიდა წელიწადი, გავიდა მეორე. აღარაფერი ისმოდა იმისი სრულიად. ზოგი უკვე დიდი ხანი იყო შინ დაბრუნებულიყო, ყაზიმირი კი არსადა სჩანდა. ზოგი ამბობდა —მოჰკლესო, ზოგი—თურქებმა ტყვედ წაიყვანესო და ამას ათასგვარი მოგზაურნი და მათხოვარნი ჩუმ-ჩუმად ადასტურებდნენ.

მაგრამ მესამე წლის მიწურულს, გაზაფხულის დამდეგს დაბრუნდა ის შინ, მხოლოდ დაბრუნდა მარტოდ-მარტო, გაფცქვნილი, გაფხეკილი, ფეხით, გამხდარი, დაგლეჯილი და ჯოხით ხელში, თითქოს მათხოვარიაო.

*) ამოვიღე ცნობილ პოლონურ რომანიდან „გლეხები". ს—გ.

**) კათოლიკეთა მღვდელი.

და ეთერს, მხედრის მკვლელობას.

— „მუჰამმადსა ვფიცავ, მე მისი მტერი არ ვყოფილვარ და

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..

ს. ფაშალიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავ. პრ. ალექსანდრე (სანდრო) ჩიქოვანი (დაჭრილია).



პორუჩ. გაბრიელ დავ. ხოფერია (მოკლულია).

მუხლი მოიყარა ღვთის მშობლის ხატის წინ, მადლობა გადა-
ხადა, რომ ღირსა ერთხელ კიდევ ეხილნა მამული და საჩქაროდ
ასწია სოფლისაკენ.

არავინ მიეგებე͏ბია, არავინ მოეხვევია კისერზე; ვერავინ იცნო
ა ძაღლებმაც კინაღამ შესჭამეს.

მივიდა თავის სახლთან, თვალზე ხელი მოისვა, პირჯვარი გა-
დაიწერა, ვერა, ვერ იცნო.

ღმერთო ჩემო! აღარსად კალო, აღარსად ბოსელი, აღარსად
ალი, არსად საქონელი, ღობეც კი აღარსადა სჩანდა... სახლიდან
რიოდ შერუჯული ბოძიღა დარჩენილიყო... აღარსად იყვნენ ბავ-
შვები... ცარიელი იყო, საშინელი, საშინელი... მხოლოდ ავადმყოფი
ული ძლივს გადმოჩოჩდა სარეცელიდან და ცხარე, ცხარე ცრემ-
ლით მიეგება.

მეხი დაეცა ყაზიმირს, მეხი!

თურმე როცა ის ომობდა და უფლის მტერთ მუსრს ავლებდა,
ერი სდგომოდა სახლში და ყველა შვილები ამოეწყვიტა... სახლს
ეხი დასცემოდა და გადაბუგულიყო... ცხვრის ფარა მგლებს გაენი-
ავებინათ... ავაზაკებს სახლის დოვლათი გაელაგებინათ... მეზობლებს
ერთმიაო მამული... გვალვას ამოეხრჩო ნათესი და რაც დარჩე-
ლიყო სეტყვას დაენელებინა... აღარაფერი დარჩენოდა, აღარაფე-
ა, გარდა ცისა და დედამიწისა.

მთელი დღე, ვით მკვდარი, ჩამომჯდარი იყო თავის ქოხის კა-
რებში, ხოლო საღამოთი, როცა საღამოს ლოცვის ზარი გაისმა, იგი
ცებ წამოიჭრა ზეზე და წყევლა და კრულვა მორთო.

ამაოდ ევედრებოდა ცოლი—თავი შეიკავეო, ამაოდ უკოცნიდა
ხებს. ყაზიმირი უფრო ანჩხლდებოდა, ჰყვიროდა—ამაოდ დავღვა-
რე სისხლი საღმრთო საქმეზე, ამაოდ დავიცავი ეკლესიები, ამაოდ
ვუშვერდი ტყვიას გულს და ჭრილობებს ვიღებდი, სიმშილს, სიცი-
ვეს ვითმენდი, ამაოდ ვიდექ პატიოსნებასა და სათნოებას—ღმერთმა
მაინც იბრუნა პირი ჩემგან და გამწირა დასაღუპადო!

აგინებდა ღმერთს, ილანძღებოდა და იძახდა—ეშმაკს მივყიდი
სულს, ეშმაკს. ის კაცს უბედურებაში არა სტოვებსო. ეს სთქვა თუ
არა, ეშმაკი იმის წინ გამოიჭიმა.

ყაზიმირმა თავი ვერ შეიკავა და დაუყვირა:

## შესანიშნავი შენობები



რედკლიფის ბიბლიოთეკა ოქსფორდში.

## შესანიშნავი შენობები




მარიამ მაგდალინელის ტაძარი პარიზში.



რუმინიის მეფე ფერდინანდი.

— მომხმარე, ეშმაკო, თუ შეგიძლიან რამე. უბედურება დამატყდა თავსაო!

სულელმა არ მოიფიქრა, რომ იმას ღმერთი სცდიდა.

— გიშველი, გიშველი, წაისისინა ეშმაკმა,—მხოლოდ სულს მომცემ?

— მოგცემ, თუ გინდა ახლავე.

მაშ ნვე დასწერეს პირობა. ყაზიმირმა უსახელო თითიდან სისხლი გამოიშვა და იმით მოაწერა ხელი.

იმ დღიდან ყაზიმირის საქმე ისევ გამობრუნდა. თვითონ ნაკლებ ანძრევდა ხელს, მხოლოდ თვალყურს ადევნებდა და უბრძანებდა; იმის მაგივრად მუშაობდა მიხალექი,—ასე დაირქვა წყეულმა სახელი,—და სხვა ჰინკები, რომელთაც ზოგს კაცურად ეცვა, ზოგს რადა. მცირე ხანში კარმიდამო აყვავდა და ყაზიმირი უფრო მდიდარი შეიქმნა, ვიდრე იყო წინად.

მხოლოდ შვილები აღარა ჰყოლია, რადგან, ხომ იცით, შვილის ყოლა უფლისაგან არის!

ეს ძლიერ აღონებდა იმას და ხანდისხანაც ღამ-ღამობით დაფიქრდებოდა, როგორ აწამებდნენ იმას ჯოჯოხეთში. მაშინ აღარც სიმდიდრე ანუგეშებდა, არც სხვა რამ. მაშინ მიხალექს უნდა ეჩვენებინა, როგორა ყველა მდიდრებს, მეფეებს, ბატონებს, ნასწავლებსა და ეპისკოპოსებსაც კი სული ეშმაკისთვის მიეყიდნათ, მაგრამ არც ერთი მათგანი არა სწუხდა იმაზე—რა მოელის სიკვდილის შემდეგო და ფუფუნებასა და კმაყოფილებაში ჰლევდნენ დროსა!

ყაზიმირი მშვიდდებოდა და უფრო უჭირვეულდებოდა უფალს. მოსჭრა ჯვარი, ტყის პირას რომ იდგა, სახლიდან ხატები გარედ გადაყარა და ჩენსტოხოვის ღვთისმშობლის ხატის მოსპობაც კი უნდოდა—ხვნას მიშლისო. ცოლმა შაეჩერა მხოლოდ ტირილითა და მუდარით.

წელიწადი წელიწადს მისდევდა, დრო მისრიალებდა, ვით მდინარე მალი, სიმდიდრე ყაზიმირს უფრო და უფრო ემატებოდა. გაუვარდა სახელი, მეფეც კი ეწვია და მერე თავისთან მიიპატიჟა სასახლეში.

ყაზიმირი ამით ამაყობდა, თავი მოჰქონდა, ეჯავრებოდა ღატაკნი. დაჰკარგა რიგიანობა და არად მიაჩნდა მთელი ქვეყანა. სულელი! არა ჰფიქრობდა, რომ ანგარიშის გასწორების დროც დადგებოდა.

აი დადგა ეს დღეც. ღმერთს მოთმინება გაუწყდა ასეთ ცოდვიან ადამიანის ყურებაზე.

დადგა ჟამი განსამართლების და სასჯელისა.

უწინარეს ეწვია ყაზიმირს სნება მძიმე დ აღარა სცილდებოდა.

შემდეგ ჭირმა გაუწყვიტა საქონელი. მეხი დაეცა და ყველა შენობა გადაუბუგა; სეტყვამ ჩარეცხა ნათესი; მოსამსახურეებმა მიატოვეს იგი და აქეთ-იქით გაიქცნენ, ბოლოს ისეთი გვალვა დაიჭირა, რომ ამოხრუკა ყველაფერი, გაახმო ხეები, ამოაშრო მდინარეები, ყაშა-ყაშა დახეთქა მიწა. შემოეფანტა ირგვლივ ყაზიმირს ყველა და გაჭირვება კარზე წამოესკუპა. სნებამ დასტანჯა, აწამა, ხორცი ნაჭერ-ნაჭერ შორდება სხეულს, ძვლები ულპებოდა.

ამაოდ შესთხოვდა მიხალექს და იმის ამხანაგებს—მიშველეთო. წყეულიც ვერას უშველის, თუ კაცს რისხვა უფლისა დაატყდა თავსა! ან და ეშმაკებს რა ენაღვლებოდათ, სულერთია იმათი იყო მაინც, და რათა მალე მომკვდარიყო, უფრო უბერავდნენ და უბერავდნენ ჭრილობებში, რომ უფრო დატანჯულიყო.

მადლი უფლისა თუ უშველიდა ისევ მხოლოდ!

შემოდგომის მიწურულს, ერთ ღამეს დიდი ქარბუქი ამოვარდა. მოჰგლიჯა ყაზიმირის სახლს სახურავი, ჩამოჰგლიჯა ყველა კარები, ფანჯარა და მთელი სახლი ეშმაკებით აივსო. ორთითები ეჭირათ ხელში და ცეკვა-თამაში ჩაუბეს გარშემო, რადგან ყაზიმირის უკანასკნელი ჟამი იყო.

ცოლი სცდილობდა დაეცვა ქმარი როგორმე, ხან ხატს ააფარებდა, ხან ნაკურთხი ცარცით გადასწერდა ჯვარს კარსა და ფანჯრებს; მაგრამ ძალა გამოეფიტა დარდით, რომ ქმარი უზიარებელი მოუკვდებოდა, ღმერთთან უბარი და თუმცა ყაზიმირი ნებას არ აძლევდა და წყეულიც უშლიდა ხელს, მაინც იხელთა წუთი და ქსენძთან გაიქცა.

მაგრამ ქსენძი საითკენღაც ემზადებოდა და ცოდვილთან არ ისურვა წასვლა.

— ვინც უფლისაგან პირი იბრუნა, ის ეშმაკების კერძია, მე იქ საჭირო აღარა ვარო, და მებატონესთან წავიდა ბანქოს სათამაშოდ.

აცრემლდა მწარედ ყაზიმირის ცოლი, ჩენსტოხოვის ღვთისმშობლის ხატის წინ დაიჩოქა და ლმობიერებით და მოწყლული სულით შესთხოვდა მოწყალებას.

ღვთისმშობელს შეებრალა იგი და უთხრა!

— ნუ სტირ, დედაკაცო, ლოცვა შენი შესმენილ არს!..

და გარდმოვიდა ჯვრიდან, ისე, როგორც იყო, ოქროს გვი[...] გვინით თავზე, ცისფერ სამოსიანი, ვარსკვლავებით რომ იყო მო[...] დილი, წელზე კრიალოსნით... სათნოებით გაბრწყინვებული... წმიდა[...] წმიდა, მშვენიერი, ვით ცისკარი დილისა...

დედაკაცი მის ფერხთით დაეცა.

ღვთისმშობელმა ის წამოაყენა თვის წმიდა ხელით, ცრემლ[...] მოჰხოცა თვალზე, გულს ჩაიკრა და ალერსით უთხრა:

— წამიყვანე, ერთგულო ჩემო მსახურო, შინ იქნება რამე გი[...]ველო!..

გასინჯა ავადმყოფი და დამჭმუნვარდა ფრიად სული მი[...] სათნო.

— უქსენძოდ არ იქნება,—სთქვა მან,—მე მხოლოდ ქალი ვა[...] და ის უფლება არა მაქვს, რაც ქრისტემ ქსენძებს მიანიჭა. საძაგ[...] ლი! მრევლზე არა ზრუნავს, ცუდი მწყემსია, ცუდი!.. პასუხს მი[...] გებს ამაზე, მაგრამ მაინც მას აქვს უფლება ცოდვების განტევებ[...] სა... მე თვითონ ხვალ იმ ავაზაკთან.., აჰა კრიალოსანი, ამით და[...] ცევ ცოდვილი, ვიდრე მოვბრუნდებოდე...

მაგრამ ვითარ უნდა წასულიყო?.. ღამე იყო ბნელი, ქარი, წვ[...] მა, წუნწუხი, გზა შორი; ამასთან ყოველ ნაბიჯზე ეშმაკები, დაეხ[...] ტებოდნენ.

არ შეუშინდა არაფერს მეუფე ცათა!.. წამოიფარა მხოლოდ წ[...] მოსასხამი და გაუდგა გზას.

მივიდა მებატონის სახლთან მოქანცული, გალუმპული, დააკ[...] კუნა კარი და მორჩილებით სთხოვა ქსენძს გაჰყოლოდა ავადმყოფ[...] თან. მაგრამ იმან რაკი დაინახა—ვიღაცა ღატაკი დედაკაცი იყო დ[...] გარედაც ისეთი ავი ამინდი იდგა, ბიჭის პირით მოახსენა—ხვალ დი[...] ლაზე მოვალ, ეხლა არა მცალიანო და განაგრძო ბანქოს თამაშ[...] სმა და დროს ტარება ბატონებთან.

ღვთისმშობელმა იმის ასეთ უსინიდისობაზე მწარედ ამოიოხრ[...] მხოლოდ და სხვა ხრიკს მიჰმართა. უცებ გააჩინა ოქროს ეტლ[...] ცხენები, ფარეშები, მოიკაზმა ქალბატონად და სასახლეში შევიდ[...] ახლა კი სიამოვნებით და ფარი-ფურით გაჰყვა ქსენძი ავადმყოფთან.

დროზე მოვიდნენ, მაგრამ სიკვდილი უკვე ატუზულიყო კარებ[...] ში და ეშმაკები ძალაობდნენ და შინ იწევდნენ—უნდოდათ ყაზიმი[...] რი ცოცხალი წაეყვანათ, ვიდრე მღვდელი მოუსწრებდა და აზია[...] რებდა. ცოლი იცავდა მხოლოდ ხან კრიალოსნით, ხან ხატს მიაფა[...] რებდა კარებს, ხან ლოცვით, ხან ქრისტეს სახელის ხსენებითა.

ყაზიმირმა აღსარება უთხრა მღვდელს, ცოდვები მოინანი[...] სთხოვა უფალს პატიება, მიიღო ცოდვათა განტევება და იმ წამს[...] ჩააბარა უფალს სული. ღვთისმშობელმა თვითონ დაუხუჭა მიცვალ[...] ბულს თვალები, აკურთხა დედაკაცი და უთხრა შეშინებულს მღვდელ[...] —წამომყე თანაო.

მღვდელმა ვერ მოასწრო რაიმე მოესაზრა, გამოჰყვა სახლი[...] დან. ჰხედავს—აღარც ეტლია, აღარც ფარეშნი, წვიმაა მხოლო[...] წუნწუხი, უკუნეთი და სიკვდილი ფეხ და ფეხ მოსდევს უკან. შე[...] ეშინდა მღვდელს და ჰა, გამოეკიდა ღვთისმშობელს სამლოცვე[...] ლოსკენ!

შეჰხედა, მანტიაშია ის გამოწყობილი, თავზე გვირგვინი ად[...] გია, და ანგელოზებით გარშემოვლებული ადის თავის ძველ ალა[...] გად, საკურთხეველზე.

იცნო მაშინ დედოფალი ცათა, შოიცა შიშმა და ძრწოლამ, მუხლზე დაეცა, აქვითინდა მწარედ და აღაპყრო ხელნი ლოცვად და ვედრებად.

ღვთისმშობელმა კი გადმოხედა სასტიკი თვალით და უთხრა: „მთელი საუკუნეები იდგები მაგრე მუხლზე ცოდვათა შენთათვის, იგ[...] ლოვ, იტირებ, ვიდრე მიიღებდე განტევებასა“-ო.

და მღვდელი მაშინვე იქცა ქვად და ისე დარჩა. მხოლოდ ღამ[...] ღამობით ისმის, როგორა სტირის და ხელთ აპყრობს ცად, ელი[...] მოწყალებას და მრავალი, მრავალი საუკუნე სდგას ასე მუხლმოდრე[...] კილი.

. . . . . . . . . . .

დღესაცა ჰნახავთ დომბროვში ფრუედბორჯთან: სდგას გაქვა[...] ვებული მღვდელი ეკლესიის ახლოს ცოდვილთა განსაფრთხილებლად, რომ ავის ჩადენისათვის უფლის სასჯელს ვერავინ გაექცევა.

**სანგანიძე.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.